შპს აღმოსავლეთ-დასავლეთ უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი

კოდი: EWU_0005
დამტკიცებულია: შპს აღმოსავლეთ-დასავლეთ უნივერსიტეტის პრეზიდენტის მიერ
დამტკიცების თარიღი: 11 თებერვალი 2025
გადაწყვეტილების/ბრძანების ნომერი: N 01-12
ცვლილება შესულია:
შპს აღმოსავლეთ-დასავლეთ უნივერსიტეტის პრეზიდენტის 2025 წლის 23 დეკემბრის N01 - 176 ბრძანებით

შინაარსი

მუხლი 1. შესავალი 2

მუხლი 2. სტუდენტის სტატუსის მოპოვება 2

მუხლი 3. ადმინისტრაციული და აკადემიური რეგისტრაცია 3

მუხლი 4. ელექტრონული სწავლების ადმინისტრირება 3

მუხლი 5. სასწავლო წელი, სემესტრი, კვირა 4

მუხლი 6. სტუდენტის დატვირთვა და შეფასება 4

მუხლი 7. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა და მისი შემუშავება 6

მუხლი 8. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ადმინისტრირება 7

მუხლი 9. სწავლის საფასური და ფინანსური მხარდაჭერის მექანიზმები 7

მუხლი 10. აუცილებელი დოკუმენტაციის წარდგენა და სტუდენტის ხელშეკრულება 10

მუხლი 11. სტუდენტის სტატუსის შეჩერება 11

მუხლი 12. სტუდენტის სტატუსის აღდგენა 12

მუხლი 13. სტუდენტის სტატუსის შეწვეტა 12

მუხლი 14. დამატებითი სემესტრის გავლა 13

მუხლი 15. შიდა მობილობა 13

მუხლი 16. განათლების აღიარება 14

მუხლი 17. კრედიტების აღიარების კომისია 14

მუხლი 18. კრედიტების აღიარების წესი 14

მუხლი 19. ერთი კვალიფიკაციის ფარგლებში მიღებული სწავლის შედეგების სხვა კვალიფიკაციის მიზნებისთვის აღიარება 15

მუხლი 20. პროგრამის მოდიფიცირებამდე მიღებული კრედიტების აღიარება 16

მუხლი 21. კრედიტების აღიარების კომისიის დასკვნა 16

მუხლი 22. საგანმანათლებლო პროგრამის დასრულება და კურსდამთავრებულისათვის კვალიფიკაციის მინიჭება 16

მუხლი 23. კურსდამთავრებულთათვის წარჩინების დიპლომის გასაცემად საშუალო (შეწონილი) ნიშნის (GPA–ს) დაანგარიშების წესი 17

მუხლი 24. წესის დამტკიცება, გაუქმება და მასში ცვლილებების განხორციელება 17

მუხლი 1. შესავალი

1. შპს აღმოსავლეთ - დასავლეთ უნივერსიტეტის (შემდგომში - ,,უნივერსიტეტი") სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი (შემდგომში - ,,წესი") შემუშავებულია საქართველოს კანონმდებლობისა და უნივერსიტეტის შიდამარეგულირებელი აქტების საფუძველზე და განსაზღვრავს უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის ორგანიზებასთან დაკავშირებულ ძირითად საკითხებს.

მუხლი 2. სტუდენტის სტატუსის მოპოვება

1. ბაკალავრიატის/ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამებზე უნივერსიტეტში სტუდენტის სტატუსის მოპოვების საფუძველია ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარება, გარდა, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული შემთხვევებისა;
2. ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამებზე ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე, კანონდებლობით დადგენილი წესითა და დადგენილ ვადებში უნივერსიტეტში სწავლა დასაშვებია:

   ა) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირებისთვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება, ან უცხო ქვეყნის მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირებისთვის (გარდა იმ პირებისა, რომლებიც იმავდროულად საქართველოს მოქალაქეები არიან), რომლებმაც საქართველოში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება საქართველოს მიერ აღიარებული უცხო ქვეყნის ან საერთაშორისო პროგრამების მიხედვით;

   ბ) საქართველოს მოქალაქეებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი განათლება ან მისი ეკვივალენტური განათლება და რომლებიც სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელს სწავლობდნენ უცხო ქვეყანაში;

   გ) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის (გარდა გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში;

   დ) საქართველოს მოქალაქეებისთვის (გარდა გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც სამინისტროს მიერ განსაზღვრული ვადით ცხოვრობენ/ცხოვრობდნენ, სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში (გარდა დისტანციური ფორმით გავლილი იმ პროგრამისა, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად არ არის საქართველოში აღიარებული).
3. ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამაზე კანონდებლობით დადგენილი წესით და დადგენილ ვადებში პირის დაშვების წინაპირობას წარმოადგენს ქვემოთ ჩამოთვლილი ერთ-ერთი გარემოების არსებობა:

ა) უცხო ქვეყნის მოქალაქის მიერ მინიმუმ ინგლისური ენის B1 დონის დამადასტურებელი საერთაშორისოდ აღიარებული სერტიფიკატის ქონა (IELTS, TOEFL, Cambridge English, UNIcert®, EnglishScore და სხვ.)

ბ) ინგლისურ ენაზე მიღებული განათლების მქონე უცხო ქვეყნის მოქალაქე აბიტურიენტებისთვის შესაბამისი დოკუმენტის (მაგ.: ატესტატი, სერტიფიკატი და სხვა) წარმოდგენისას და ასევე საქართველოს მოქალაქისთვის, რომელმაც ინგლისურ ენაზე უცხო ქვეყანაში მიიღო სრული ზოგადი განათლება, ან მისი ეკვივალენტური განათლება და რომელიც სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელს სწავლობდა უცხო ქვეყანაში და წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტს (მაგ.: ატესტატი, სერტიფიკატი და სხვა).

გ) უნივერსიტეტის მიერ უცხო ქვეყნის მოქალაქის ინგლისური ენის ცოდნის კომპეტენციის დონის დასადგენად ორგანიზებული გამოცდის (რომელიც მოიცავს: მოსმენას, წაკითხული ტექსტის გააზრებასა და ანალიზს, საუბარს) შედეგად დადასტურებული ცოდნის ზემოხსენებული დონე.

4. მაისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგების და შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამით დადგენილი შიდასაუნივერსიტეტო გამოცდა/გამოცდების ან დაშვების სხვა წინაპირობების დაკმაყოფილების/წარმატებით გადალახვის შემთხვევაში. გარდა, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული შემთხვევებისა;
5. მობილობის წესით სტუდენტის ჩარიცხვა აკადემიურ საგანმანათლებლო პროგრამებზე ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესის შესაბამისად.

მუხლი 3. ადმინისტრაციული და აკადემიური რეგისტრაცია

1. სასწავლო პროცესში ჩასართავად სტუდენტმა სემესტრულად უნდა გაიაროს ადმინისტრაციული და აკადემიური რეგისტრაცია.
2. უნივერსიტეტში სტუდენტების ადმინისტრაციული და აკადემიური რეგისტრაცია ხორციელდება უნივერსიტეტის პრეზიდენტის ბრძანებით დადგენილ ვადებში.
3. ადმინისტრაციული რეგისტრაცია გულისხმობს სტუდენტის მიერ სწავლების სემესტრული საფასურის დადგენილ ვადებში სრულად გადახდას, გარდა ამ წესით დადგენილი სხვა შემთხვევისა.
4. აკადემიური რეგისტრაცია გულისხმობს სტუდენტის მიერ მართვის ელექტრონული სისტემის მეშვეობით შეთავაზებულ სასწავლო კურსებზე არჩევანის გაკეთებას. აღნიშნული სერვისით სარგებლობის უფლება სტუდენტს წარმოეშობა მხოლოდ ადმინისტრაციული რეგისტრაციის გავლის შემთხვევაში. სასწავლო პროცესის დაწყებიდან ორი კვირის ვადაში შესაძლებელია სასწავლო კურსებზე განაცხადის გაუქმება და მის ნაცვლად სხვა სასწავლო კურსზე დარეგისტრირება.
5. სტუდენტს სასწავლო გეგმა შეეთავაზება საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისად, ხოლო თუ სტუდენტი საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულია მობილობის გზით ან მისი ინდივიდუალური საჭიროებიდან გამომდინარე (აკადემიური ჩამორჩენა და ა.შ.), უნივერსიტეტის შესაბამისი სკოლა უზრუნველყოფს მისთვის ხელსაყრელი ინდივიდუალური გეგმა-გრაფიკის შეთავაზებას, საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო კურსების წინაპირობების გათვალისწინებით.

მუხლი 4. ელექტრონული სწავლების ადმინისტრირება

1. ელექტრონული სწავლება გულისხმობს სასწავლო პროცესის ან მისი ნაწილის ორგანიზებასა და განხორციელებას თანამედროვე, ლიცენზირებული ელექტრონული საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენებით — კერძოდ, სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის მეშვეობით — უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში.
2. უნივერსიტეტი ახორციელებს ელექტრონულ სწავლას თანამედროვე, ლიცენზირებული სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის (LMS) საშუალებით. აღნიშნული სისტემა უზრუნველყოფს:
   ა) სტუდენტის დატვირთვის შესახებ ინფორმაციის მიწოდებას;
   ბ) სასწავლო მასალების მიწოდებასა და შენახვას;
   გ) სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის შორის კომუნიკაციასა და ინტერაქციას;
   დ) სტუდენტთა შეფასების ობიექტურობას, გამჭვირვალობასა და სამართლიანობას;
   ე) აკადემიური კონსულტაციების ჩატარებას;
   ვ) სტუდენტთა პროგრესის მონიტორინგს;
   ზ) სხვა სასწავლო მიზნებისთვის საჭირო აქტივობების განხორციელებას.

3. ელექტრონული სწავლება უნივერსიტეტში ტარდება სინქრონული კომუნიკაციის ფორმით, რაც გულისხმობს კომუნიკაცის ერთსა და იმავე დროს წარმართვას.
4. ელექტრონული სწავლების განხორციელების მიზნით, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს თანამედროვე, ლიცენზირებული და უსაფრთხო ელექტრონული პლატფორმის (Zoom) სათანადო გამოყენებას, რომელიც იძლევა ინტერაქტიული და ეფექტიანი სასწავლო პროცესის განხორციელების საშუალებას.
5. სწავლის სფეროების კლასიფიკატორით გათვალისწინებული დეტალური სფეროების ჩამონათვალი და უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ელექტრონული სწავლების ფორმით დასაშვები კრედიტების მაქსიმალური რაოდენობა განსაზღვრულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
6. კურსის/საგნის ელექტრონული ფორმატით შეთავაზება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის მოიცავს მხოლოდ თეორიულ კომპონენტს და არ შეიცავს პრაქტიკულ კომპონენტს, როგორიცაა სტაჟირება, ლაბორატორიული სამუშაოები, კლინიკური სწავლება ან სხვა მსგავსი აქტივობები, რომელთაც სტუდენტისა და აკადემიური პერსონალის ერთდროული ფიზიკური თანდასწრება ესაჭიროება. ასეთ შემთხვევაში შუალედური, საბოლოო და დამატებითი გამოცდებიც ტარდება უნივერსიტეტის ტერიტორიაზე.
7. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს, რომ სტუდენტს, რომელსაც არ სურს თეორიული შინაარსის სასწავლო კურსის/საგნის ელექტრონული ფორმატით გავლა, ჰქონდეს შესაძლებლობა ასავე კურსი გაიაროს უნივერსიტეტში მისვლით.
8. სწავლების ორივე ფორმატის ხელმისაწვდომობის შესახებ ინფორმაცია შესაბამისი პროგრამის სტუდენტებს მიეწოდებათ სემესტრის დაწყებამდე.
9. სტუდენტის პერსონალური მონაცემების დაცვა ხორციელდება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

მუხლი 5. სასწავლო წელი, სემესტრი, კვირა

1. აკადემიური წელი შედგება გაზაფხულის და შემოდგომის სემესტრებისგან, მათ შორის დასვენების პერიოდი რაც არ აღემატება 12 უწყვეტ კალენდარულ თვეს. ერთი აკადემიური წელი მოიცავს 40 სასწავლო კვირას, თითოეული სემესტრი მოიცავს 20 სასწავლო კვირას. პროგრამის თავისებურებებიდან გამომდინარე აკადემიური წელი/სემესტრი განისაზღვრება პრეზიდენტის აქტის საფუძველზე, სადაც გათვალისწინებულია აკადემიური, ადმინისტრაციული რეგისტრაციის, სასწავლო და საგამოცდო პერიოდის ვადები;
2. სემესტრი არის დროის პერიოდი, რომელიც მოიცავს სასწავლო კვირათა ერთობლიობას, გამოცდის/დამატებითი გამოცდის ჩატარებისა და სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების პერიოდს.
3. სასწავლო კვირა არის დროის პერიოდი, რომელზეც ნაწილდება საშუალო აკადემიური მიღწევის მქონე სტუდენტის სასწავლო დატვირთვა და მოიცავს როგორც საკონტაქტო, ასევე დამოუკიდებელ დროში შესასრულებელი აქტივობების ერთობლიობას.
4. ერთი აკადემიური წლის სრული დატვირთვა მოიცავს 60 (ECTS) კრედიტს.

მუხლი 6. სტუდენტის დატვირთვა და შეფასება

1. კრედიტი (ECTS) გამოხატავს სტუდენტისათვის საჭირო სასწავლო დატვირთვას, რომლის მიღებაც შესაძლებელია სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ. კრედიტი ნაწილდება საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრულ თითოეულ კომპონენტს შორის და მოიცავს კონკრეტული კომპონენტით მისაღწევი სწავლის შედეგებისთვის საჭირო საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათს.
2. ერთი კრედიტი უტოლდება სტუდენტის სასწავლო დატვირთვას 25-30 საათის განმავლობაში და მოიცავს როგორც საკონტაქტო, ასევე დამოუკიდებელ საათებს.

3. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის ან/და სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის თავისებურებების გათვალისწინებით, დასაშვებია სტუდენტის სასწავლო წლიური დატვირთვა აღემატებოდეს 60 კრედიტს ან იყოს 60 კრედიტზე ნაკლები. დაუშვებელია სტუდენტის სასწავლო წლიური დატვირთვა აღემატებოდეს 75 (ECTS) კრედიტს.
4. მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრული ხანგრძლივობის, მოცულობისა და სტრუქტურის გათვალისწინებით სტუდენტის სასწავლო წლიური დატვირთვა მოიცავს 60 (ECTS) კრედიტს. სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმით შეიძლება სტუდენტის სასწავლო წლიური დატვირთვა განისაზღვროს 60-ზე მეტი კრედიტით, მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივი მახასიათებლით დადგენილი ხანგრძლივობის ფარგლებში 60-ს ზევით დამატებული კრედიტების საერთო რაოდენობა ჯამში არ უნდა აღემატებოდეს 15 კრედიტს.
5. მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში შესაძლებელია სწავლა-სწავლების პროცესი განხორციელდეს არასრული დატვირთვით. რაც გულისხმობს სტუდენტის სასწავლო დატვირთვას კვირაში დამოუკიდებელი და საკონტაქტო საათების ჯამური მოცულობით არაუმეტეს 25 საათისა. ამ შემთხვევაში, სწავლება-სწავლის არასრული დატვირთვის განსაზღვრისას ერთი აკადემიური წელი მოიცავს 30 (ECTS) კრედიტს.
6. კრედიტის მოპოვება შესაძლებელია სტუდენტის მიერ მხოლოდ შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევისას, რაც დასტურდება დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში.
7. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კომპონენტისათვის განკუთვნილი კრედიტის მინიჭება უნდა განხორციელდეს ერთი სემესტრის ფარგლებში. დაუშვებელია შესაბამისი კრედიტის გაყოფა და მისი ნაწილ-ნაწილ მინიჭება. საბაკალავრო/ სამაგისტრო ნაშრომი უნდა შეფასდეს იმავე ან მომდევნო სემესტრში, რომელშიც სტუდენტი დაასრულებს მასზე მუშაობას.
8. სასწავლო კურსში სტუდენტის საბოლოო შეფასება წარმოადგენს შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასებების ჯამს. მათ შორის, შუალედურ შეფასებას ეთმობა 60/70 ქულა, ხოლო დასკვნით შეფასებას - 40/30 ქულა.
9. შუალედური შეფასების კომპონენტები, მეთოდები და მინიმალური კომპეტენციის ზღვარი განისაზღვრება შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსის სილაბუსით.
10. დასკვნითი გამოცდა სავალდებულოა და მასზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც გადალახული აქვს შუალედური შეფასებისათვის შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსის სილაბუსით განსაზღვრული მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. დასკვნით გამოცდაზე დადებითი შეფასების მისაღებად სტუდენტმა უნდა გადალახოს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი და მოიპოვოს 50%-ზე მეტი.
11. სასწავლო კურსის განმახორციელებელი ლექტორი ვალდებულია, რეგულარულად უზრუნველყოს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში სტუდენტის შეფასებების ასახვა.
12. საუნივერსიტეტო შეფასების სისტემა ითვალისწინებს:

    12.1 ხუთი სახის დადებით შეფასებას:

ა) (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;

ბ) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;

გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;

დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;

ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა;

    12.2 ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ა) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

ბ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

13. „(FX) ვერ ჩააბარა - 41-50 ქულა“ შეფასების მიღების შემთხვევაში, სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში. თუ სტუდენტმა დასკვნით გამოცდაზე ვერ მიიღო დადებითი შეფასება, მაგრამ შუალედური შეფასებებისა და დასკვნით გამოცდაზე მიღებული ქულების ჯამი შეადგენს 41-50 ქულას უფლება აქვს გავიდეს დამატებით გამოცდაზე.
14. დამატებითი გამოცდა ინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 სამუშაო დღეში.
15. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით გამოცდაზე მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში. დასკვნითი შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.
16. უნივერსიტეტში შუალედური და დასკვნითი გამოცდების პროცესის ორგანიზებას ახორციელებს საგამოცდო სამსახური.
17. შუალედური/დასკვნითი ძირითადი და დამატებითი გამოცდების შედეგების აპელაციის წესით გასაჩივრება ხორციელდება „საგამოცდო პროცესის ორგანიზების წესის“ თანახმად.

მუხლი 7. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა და მისი შემუშავება

1. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ითვალისწინებს სტუდენტების განსხვავებულ მოთხოვნებს, საჭიროებებსა და აკადემიური მომზადების დონეს, რომლითაც სტუდენტის საჭიროებიდან და ინტერესებიდან გამომდინარე, ხორციელდება სწავლა სწავლების, შეფასების სათანადო ფორმებისა და პირობების შეთავაზება, მათ შორის საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი ადამიანური რესურსით უზრუნველყოფა, და მათი შეუფერხებელი ჩართულობა საგანმანათლებლო პროცესში;
2. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა შესაძლებლობას უნდა აძლევდეს სტუდენტს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგებს მიაღწიოს დაუბრკოლებლად.
3. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა შეიძლება შემუშავდეს სხვადასხვა მიზნით, მათ შორის:

   ა) სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტუდენტებისთვის;

   ბ) მობილობით/შიდა მობილობით გადმოსული სტუდენტებისთვის;

   გ) აკადემიური ჩამორჩენის შემთხვევაში;

   დ) გაცვლით პროგრამაში მონაწილე სტუდენტებისთვის;

   ე) განსაკუთრებული აკადემიური მიღწევების მქონე, სტატუსაღდგენილი სტუდენტებისთვის;

   ვ) სხვა ობიექტური გარემოებების არსებობისას.

   4. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა უნდა მოიცავდეს სასწავლო კურსის/კურსების სახელწოდებას, კრედიტების მოცულობას, სწავლების სემესტრს, სწავლა-სწავლების, შეფასების სათანადო ფორმებს და პირობებს, სასწავლო პროცესის განხორციელებისთვის საჭირო განსხვავებულ მოთხოვნებს მატერიალური რესურსის მიმართ და სხვ. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შინაარსი და სტრუქტურა დამოკიდებულია სტუდენტის საჭიროებებზე.

მუხლი 8. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ადმინისტრირება

1. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის საჭიროების შემთხვევაში, სტუდენტი მიმართავს შესაბამისი სკოლის დეკანს განცხადებით;
2. სკოლა განიხილავს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების საჭიროებას და შემდგომ შეიმუშავებს მას. სტუდენტი მონაწილეობს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენაში.
3. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების შემდგომ გადაეცემა უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, რომელიც შესაბამისი სტანდარტების დაცვის დადასტურების შემდგომ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას დასამტკიცებლად უგზავნის სკოლის საბჭოს.
4. სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა აისახება სტუდენტის პირად საქმეში.

მუხლი 9. სწავლის საფასური და ფინანსური მხარდაჭერის მექანიზმები

1. სტუდენტის სწავლის საფასური განისაზღვრება მისი ჩარიცხვის მომენტში პრეზიდენტის შესაბამისი სამართლებრივი აქტით - ბრზანებით დადგენილი ოდენობით, რომელსაც სტუდენტი იხდის უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურზე სწავლის პერიოდში.
2. სტუდენტის სწავლის საფასური არ იზრდება სტუდენტის შესაბამის საფეხურზე სწავლის პერიოდში.
3. სასწავლო წლის გადასახადი იფარება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ოდენობითა და ვადებში. შესაბამისის სემესტრის დაწყების წინ ადმინისტრაციული რეგისტრაციისათვის განსაზღვრულ ვადებში სტუდენტი ვალდებულია გადაიხადოს სწავლის სემესტრული საფასური (სწავლის წლიური საფასურის ნახევარი) თუ სტუდენტთან გაფორმებული ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული.
4. უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში, სტუდენტისთვის სწავლის საფასურის დაკისრება ხდება შემდეგი პრინციპის გათვალისწინებით:

   ა) პროგრამით გათვალისწინებული გეგმიური ვადის განმავლობაში სტუდენტს ეკისრება სწავლების სემესტრული საფასური, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სასწავლო კურსის განმეორებით გავლისათვის დამატებით იხდის შესაბამისი მოცულობის კრედიტების ღირებულებას (თუ შესაბამის სემესტრში გასაწევი მომსახურება აღემატება 30 კრედიტს). სტუდენტი ვალდებულია სრულად აიღოს 30 კრედიტის მოცულობის საგნები, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არსებობს ობიექტური გარემოება, რაც შეუძლებელს ხდის სასწავლო კურსზე დარეგისტრირებას, უნივერსიტეტი ვერ სთავაზობს შესაბამის სასწავლო კურსს შესაბამის სემესტრში, სტუდენტი ვერ აკმაყოფილებს დაშვების წინაპირობას და ა.შ. აღნიშნულ შემთხვევაში, სტუდენტი იხდის სწავლის სემესტრულ საფასურს, თუმცა, მიუღებელი მომსახურების საფასურის გამოყენება შეუძლია პროგრამის გავლისათვის დადგენილი მაქსიმალური ვადის განმავლობაში.

   ბ) თუ პროგრამის სტრუქტურიდან გამომდინარე, სემესტრულად 30 კრედიტზე დარეგისტრირება შეუძლებელია, სტუდენტს ერიცხება სწავლის სემესტრული საფასური და შესაძლებელია, მისი სემესტრული დატვირთვა მცირედით აღემატებოდეს ან ნაკლები იყოს 30 კრედიტზე. აღნიშნულ შემთხვევაში სტუდენტის დავალიანება უნივერსიტეტის წინაშე შეიძლება დაკორექტირდეს ფაქტობრივად მიღებული მომსახურების ღირებულების შესაბამისად (მომდევნო სემესტრში წარმოეშვას უფრო ნაკლები თანხის გადახდის ვალდებულება ან პირიქით), შესაბამისი გარემოების დადგომისას, ერთი კრედიტის ღირებულება ანგარიშდება ფორმულით: სწავლების წლიური საფასური გაყოფილი 60-ზე.

   გ) დამატებით სემესტრში დარეგისტრირების შემთხვევაში, სტუდენტი მომსახურების საფასურს იხდის, შესაბამის სემესტრში ასათვისებელი კრედიტების მოცულობის შესაბამისად. დამატებით სემესტრში განსაზღვრული წინაპირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში, სტუდენტის დატვირთვისათვის დადგენილი კრედიტების მოცულობის შესაბამისად, სტუდენტი ვალდებულია, დარეგისტრირდეს

შესაბამის სემესტრში შეთავაზებულ ყველა კომპონენტზე, რაც საგანმანათლებლო პროგრამით გასავლელი აქვს.

5. თუ სტუდენტი დადგენილ ვადებში ვერ იხდის სწავლის საფასურს, მისი ინტერესებიდან გამომდინარე, შესაძლებელია ინდივიდუალური გადახდის გრაფიკის შეთანხმება. გრაფიკის დარღვევა გამოიწვევს ფინანსური ვალდებულების გამო სტუდენტის სტატუსის შეჩერებას და მიმდინარე სემესტრში უკვე გადახდილი სწავლის საფასური სტუდენტს არ დაუბრუნდება. სწავლის საფასურის გადაუხდელობის/ინდივიდუალური გრაფიკის დარღვევის გამო სტუდენტის სტატუსის შეჩერების შემთხვევაში, სტატუსის აღდგენა შესაძლებელია მხოლოდ ამ წესით დადგენილი პროცედურის შესაბამისად.
6. თუ სტუდენტს სრულად აქვს სწავლის საფასური გადახდილი, თუმცა, არ გაიარა აკადემიური რეგისტრაცია, უჩერდება სტუდენტის სტატუსი და უფლება აქვს მოითხოვოს თანხის უკან დაბრუნება ან უნივერსიტეტის სასარგებლოდ გადახდილი თანხის მომდევნო სემესტრის სწავლის საფასურში ჩათვლა, რისთვისაც განცხადებით მიმართავს უნივერსიტეტს.
7. სასწავლო პროცესის დაწყების შემდეგ სემესტრის დასრულებამდე სტუდენტის სტატუსის შეჩერების შემთხვევაში, სტუდენტს და უნივერსიტეტს შორის ფინანსური ანგარიშსწორება წარმოებს შემდეგი სახით:
   ა) სასწავლო პროცესის დაწყებიდან ერთი თვის ვადაში სტუდენტის სტატუსის შეჩერების შემთხვევაში სტუდენტის სტატუსშეჩერებულ პირს შეუძლია მოითხოვოს უნივერსიტეტის სასარგებლოდ გადახდილი შესაბამისი სემესტრის სწავლის საფასურის დაბრუნება ან სტატუსის აღდგენის შემდეგ - შესაბამისი სემესტრის სწავლის საფასურში ჩათვლა;
   ბ) თუ სტუდენტის სტატუსის შეჩერება განხორციელდა სასწავლო პროცესის დაწყებიდან ერთი თვის გასვლის შემდეგ პირი კარგავს სწავლის საფასურის დაბრუნების უფლებას.
8. სწავლის საფასურის გადახდის ინდივიდუალურ გრაფიკზე შეთანხმება გამორიცხავს სტუდენტის მიერ უნივერსიტეტის მიერ დადგენილი ფინანსური შეღავათებით სარგებლობის შესაძლებლობას. სწავლის საფასურის გადახდის გრაფიკი დაერთვის საგანმანათლებლო მომსახურების ხელშეკრულებას და არის მისი განუყოფელი ნაწილი.
9. უნივერსიტეტი უფლებამოსილია დააწესოს ,,EWUNI-ის გრანტი“, რომელიც არის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ოქროს და ვერცხლის მედალოსანი აბიტურიენტის წამახალისებელი ფინანსური შეღავათი.
10. ,,EWUNI - ის გრანტით“ სარგებლობის შესახებ განცხადება მტკიცებულებებთან ერთად წარედგინება უნივერსიტეტის პრეზიდენტს, რომელიც გამოსცემს შესაბამის სამართლებრივ აქტს -ბრძანებას EWUNI - ის გრანტის გაცემისა და სწავლის თითოეული წლისათვის მისი ოდენობის განსაზღვრის თაობაზე.
11. ,,EWUNI -ის გრანტის'' მიღების უფლება აქვთ ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად ჩარიცხულ პირს, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ოქროსა და ვერცხლის მედალოსნებს, რომლებიც შესაბამის წელს, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგებით, პირველი ან მეორე არჩევანით ჩაირიცხებიან უნივერსიტეტში.
12. ,,EWUNI -ის გრანტით'' სარგებლობის პერიოდში სტუდენტი უფლებამოსილია ისარგებლოს სხვა სახის ფინანსური შეღავათებითაც.
13. ,,EWUNI -ის გრანტის'' მიღების უფლებით არ სარგებლობენ აბიტურიენტები, რომლებიც არ ჩაირიცხებიან უნივერსიტეტში პირველი ან მეორე პრიორიტეტით;
14. ,,EWUNI -ის გრანტის'' მფლობელი სტუდენტი გრანტის მიღების უფლებას დაკარგავს:
   ა) წინა სემესტრის თითოეულ სასწავლო დისციპლინაში არაუმეტეს 71 ქულის მიღების შემთხვევაში;

ბ)შუალედური ან დამატებითი გამოცდის გაცდენის/გადაბარების შემთხვევაში;

გ) უნივერსიტეტის მიერ დადგენილი აკადემიური კეთილსინდისიერების ნორმების დარღვევის შემთხვევაში;

დ) დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შემთხვევაში;

ე) სასწავლო კომპონენტის განმეორებით გავლის მიზნით უნივერსიტეტის მიერ დამატებითი მომსახურებით სარგებლობის შემთხვევაში;

ვ) სწავლის საფასურის გადახდის განსხვავებულ გრაფიკზე შეთანხმების შემთხვევაში.

15. უნივერსიტეტის სტუდენტის წახალისების, მოტივაციის ამაღლებისა და მისი მიღწევების აღიარების მიზნით უფლებამოსილია დააწესოს ,,EWUNI -ის სტიპენდია", რომელიც არის სტუდენტის აკადემიურ მოსწრებაზე დამოკიდებული, სტუდენტზე გაცემული ფინანსური წახალისება, რომლის ოდენობაც განისაზღვრება სტუდენტის წინა სემესტრის აკადემიური მოსწრების მაჩვენებლით.

16. EWUNI -ის სტიპენდიის გაცემის შესახებ განაცხადი მტკიცებულებებთან ერტად წარედგიინება უნივერსიტეტის პრეზიდენტს, რომელიც შესაბამისი სამართლებრივი აქტის - ბრძანების გამოცემის გზით ირებს გადაწყვეტილებას სტიპენდიის გაცემის თაობაზე.

17. EWUNI -ის სტიპენდიის მიღების უფლება სტუდენტს აქვს შესაბამის პროგრამაზე სწავლის გეგმიური პერიოდის განმავლობაში, სწავლის მეორე სემესტრიდან, უნივერსიტეტის წინა აკადემიური სემესტრში საკუთარი სწავლის შედეგების გათვალისწინებით. სტიპენდიის ოდენობა და პროცედურები განისაზღვრება პრეზიდენტის ბრძანებით.

18. EWUNI -ის სტიპენდიის მიღების უფლებით სტუდენტი ვერ ისარგებლებს:

ა) შუალედური ან დასკვნითი გამოცდის გაცდენის/გადაბარების შემთხვევაში;

ბ)უნივერსიტეტის მიერ დადგენილი აკადემიური კეთილსინდისიერების ნორმების დარღვევის შემთხვევაში;

გ) დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შემთხვევაში;

დ) სასწავლო კომპონენტის განმეორებით გავლის მიზნით უნივერსიტეტის მიერ დამატებითი მომსახურებით სარგებლობის შემთხვევაში;

ე) სწავლის საფასურის გადახდის განსხვავებულ გრაფიკზე შეთანხმების შემთხვევაში.

19. EWUNI -ის სტიპენდიით სარგებლობა არ აისახება სტუდენტის მიერ გადასახდელი სწავლის საფასურის ოდენობაზე.

20. სოციალურად მოწყვლადი სტუდენტების მხარდაჭერის, მათი სასწავლო პროცესში ჩართულობის, უნივერსიტეტის სერვისების შეუფერხებლად მიწოდებისა და მათი განვითარების მიზნით უნივერსიტეტი უფლებამოსილია ასეთი კატეგორიის სტუდენტებისათვის დააწესოს გრანტი - „ EWUNI-ის თანადგომა"

21. გრანტით - „EWUNI-ის თანადგომა" შეუძლიათ ისარგებლონ სტუდენტებმა შემდეგი პირობების არსებობისას:

ა) თუ ერთი ოჯახიდან ერთდროულად სწავლობს ოჯახის ორი ან მეტი წევრი, ოჯახის ერთი წევრის სწავლის საფასური მცირდება 30%-ით. თუ სწავლის საფასური განსხვავებულია, შეღავათის გაანგარიშების ბაზად აიღება ორივე სწავლის საფასურის არითმეტიკული საშუალო.

შენიშვნა: ოჯახის წევრი განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით და დასტურდება იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტით.

ბ) თუ სტუდენტი არის სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახიდან მისი სწავლის საფასური მცირდება 40%-ით.

შენიშვნა: სტატუსი უნდა დადასტურდეს შესაბამისი ორგანოს მიერ გაცემული იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტით.

გ) თუ სტუდენტი არის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულთა შვილი მისი სწავლის საფასური მცირდება 40%-ით.

შენიშვნა: აღნიშნული კატეგორიის პირმა უნდა წარმოადგინოს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ გაცემული სათანადო მოწმობა.

დ) თუ სტუდენტს ჰყავს მცირეწლოვანი შვილი/შვილები მისი სწავლის საფასური მცირდება 20%-ით.

ე) სხვა შემთხვევები, რომლის არსებობის შემთხვევაში უნივერსიტეტი უფლებამოსილია გრანტით - „ EWUNI-ის თანადგომა“ უზრუნველყოს ასეთი კატეგორიის სტუდენტების მხარდაჭერა.

22. გრანტი - „ EWUNI-ის თანადგომა“ გამოყენება ხდება შემდეგი სახით:

ა) დაუშვებელია მე-20 პუნქტით განსაზღვრული შეღავათების ერთდროულად ერთზე მეტის გამოყენება ;

ბ) თუ სტუდენტს ეკუთვნის ერთდროულად რამდენიმე შეღავათი, გამოიყენება მათ შორის უდიდესი.

23. გრანტი - „EWUNI-ის თანადგომით“ სარგებლობის თაობაზე განცხადება (შეღავათის მინიჭების საფუძველის მითითებით) მტკიცებულებებთან ერთად (საჭიროების შემთხვევაში) წარედგინება უნივერსიტეტის პრეზიდენტს, რომელიც გონივრულ ვადაში განიხილავს წარდგენილ განაცხადს და განაცხადის დაკმაყოფილების შემთხვევაში გამოსცემს შესაბამის სამართლებრივ აქტს - ბრძანებას სტუდენტის მიერ ფნანსური შეღავათით სარგებლობის თაობაზე.

24. უნივერსიტეტი უფლებამოსილია დაადგინოს ამ დებულებით განსაზღვრული სწავლის საფასურის გადახდის და გრანტის გამოყენების განსხვავებული წესები, რომელიც გააუმჯობესებს სტუდენტის მდგომარეობას. ასევე სტუდენტის წახალისების მიზნით გამოიყენოს მატერიალურთან ერთად არამატერიალური ფორმებიც.

მუხლი 10. აუცილებელი დოკუმენტაციის წარდგენა და სტუდენტის ხელშეკრულება

1. პირი, რომელიც მოიპოვებს დაწესებულებაში სწავლის გაგრძელების უფლებას, რეგისტრაციის გასავლელად უნივერსიტეტის სტუდენტთა მიღების, მხარდაჭერისა და კარიერული განვითარების სამსახურში წარადგენს შემდეგ დოკუმენტაციას:

ა) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

ბ)ფოტოსურათი ¾ (2 ცალი), ამასთან, კომპაქტ-დისკზე ჩაწერილი ვერსია;

გ) წინა საფეხურის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი:

დ) სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის სანოტარო წესით დამოწმებული ასლი, ხოლო უცხო ქვეყანაში მიღებული სრული ზოგადი განათლების შემთხვევაში, შესაბამისი დოკუმენტის კანონმდებლობით დადგენილი წესით აღიარების შესახებ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული დოკუმენტი ან მისი სანოტარო წესით დამოწმებული ასლი;

ე) ბაკალავრის ხარისხის დამადასტურებელი ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის სანოტარო წესით დამოწმებული ასლი, ხოლო უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების შემთხვევაში, შესაბამისი დოკუმენტის კანონმდებლობით დადგენილი წესით აღიარების შესახებ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული აღიარების დოკუმენტი.

ვ) სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტი (ვაჟებისთვის), გარდა უცხო ქვეყნის მოქალაქეებისა;

ზ) ბაკალავრის დიპლომის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის ნამდვილობის დამადასტურებელი დოკუმენტი იმ შემთხვევაში, თუკი სამაგისტრო პროგრამაზე ჩაბარების მსურველს საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში პირველი საფეხურის პროგრამაზე შესაბამისი კვალიფიკაცია

მიღებული აქვს 2013 წლამდე ან/და მისი დოკუმენტის გამცემ საგანმანათლებლო დაწესებულებას გაუქმებული აქვს ავტორიზაცია.

2. ამ თავით გათვალისწინებული დოკუმენტაციის სრულყოფილად წარდგენის შემთხვევაში, პრეზიდენტი, მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე, გამოსცემს ჩარიცხვის შესახებ შესაბამის აქტს და ფორმდება ხელშეკრულება შესაბამის პირთან.
3. პირს, სტუდენტის სტატუსის მოპოვების შემდეგ გადაეცემა სტუდენტური ბარათი, რომლის დაკარგვის შემთხვევაშიც სტუდენტი ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს შესაბამის სკოლას. აღნიშნულ შემთხვევაში, სტუდენტი იხდის ახალი სტუდენტური ბარათის დამზადების საფასურს უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული ოდენობით.

მუხლი 11. სტუდენტის სტატუსის შეჩერება

1. სტუდენტის სტატუსის შეჩერება გულისხმობს უნივერსიტეტისა და სტუდენტის უფლება- მოვალეობების შესრულებისაგან დროებით, სტატუსის შეჩერების ვადით, გათავისუფლებას. სტატუსის შეჩერების განმავლობაში ჩერდება უნივერსიტეტსა და სტუდენტს შორის გაფორმებული საგანმანათლებლო მომსახურების ხელშეკრულების მოქმედება.
2. სტუდენტის სტატუსის შეჩერების განმავლობაში მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ვალდებულებები წარმოშობილია სტატუსის შეჩერებამდე (ფინანსური ვალდებულება უნივერსიტეტის წინაშე, უნივერსიტეტის მატერიალური ქონების ფლობა და ა.შ.).
3. სტუდენტის სტატუსის შეჩერება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის, ამ წესისა და უნივერსიტეტში მოქმედი სხვა სამართლებრივი აქტებით დადგენილი წესების შესაბამისად.
4. სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველია:

   ა)სტუდენტის პირადი განცხადება (მიზეზის მითითების გარეშე);

   ბ) ადმინისტრაციული/აკადემიური რეგისტრაციის დადგენილ ვადაში გაუვლელობა;

   გ) ფინანსური დავალიანება;

   დ) პროგრამის დასრულების მიზნით დამატებით სემესტრში რეგისტრაციის გაუვლელობა;

   ე) უცხო ქვეყანაში, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლა, გარდა გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სწავლისა;

   ვ) ორსულობა, მშობიარობა, ბავშვის მოვლა;

   ზ) ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე ჩარიცხულ უცხო ქვეყნის მოქალაქეს/მოქალაქეობის არმქონე პირს უნივერსიტეტის პრეზიდენტის ბრძანებით უჩერდება სტუდენტის სტატუსი, თუ პირმა სასწავლო კომპონენტის შეფასების სულ მცირე ერთ კომპონენტში არ მიიღო შეფასება, აკადემიური რეგისტრაციის გავლიდან 45 კალენდარული დღის განმავლობაში;

   თ) ნებისმიერი სხვა საფუძველი, რომლის წარმოშობის შემთხვევაში, უნივერსიტეტის გადაწყვეტილებით, შესაძლებელია სტუდენტსა და უნივერსიტეტს შორის უფლება-მოვალეობების შეჩერება, სტატუსის შეწყვეტის გარეშე.
5. პირი, რომელსაც შეჩერებული აქვს სტუდენტის სტატუსი, არ განიხილება დაწესებულების სტუდენტების საერთო რაოდენობის ფარგლებში.
6. სტუდენტის სტატუსის შეჩერება ფორმდება უნივერსიტეტის პრეზიდენტის აქტით, რომლის უმაღლესი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში (შემდგომში - მართვის სისტემა) ასახვას, კანონმდებლობით დადგენილ ვადაში, უზრუნველყოფს სტუდენტთა მიღების, მხარდაჭერისა და კარიერული განვითარების სამსახურის შესაბამისი პასუხიმგებელი პირი. სტუდენტის სტატუსის

შეჩერების მაქსიმალური საერთო ვადა შეადგენს ჯამში 5 წელს. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ სტუდენტს შეუწყდება სტატუსი.

მუხლი 12. სტუდენტის სტატუსის აღდგენა

1. ამ წესით დადგენილი გარემოებების აღმოფხვრის შემთხვევაში, რაც საფუძვლად დაედო სტუდენტის სტატუსის შეჩერებას, სტუდენტი უფლებამოსილია პირადი განცხადებით აღიდგინოს სტუდენტის სტატუსი. ფინანსური დავალიანების აღმოფხვრის შემთხვევაში უნივერსიტეტი ვალდებულია აღუდგინოს სტუდენტს სტატუსი მისი განცხადების საფუძველზე.
2. სტუდენტის შეჩერებული სტატუსის აღდგენა შესაძლებელია იმავე აკადემიური პროგრამის ფარგლებში, იმავე პირობებით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საგანმანათლებლო პროგრამა, რომელზეც განხორციელდა სტუდენტის ჩარიცხვა აღარ ხორციელდება და სტუდენტი, სტატუსის აღდგენასთან ერთად, სარგებლობს შიდა მობილობით.
3. სტუდენტის სტატუსის აღდგენა შესაძლებელია სწავლის დაწყებიდან ერთი თვის განმავლობაში.
4. სტუდენტის შეჩერებული სტატუსის აღდგენის შესახებ გამოიცემა პრეზიდენტის ბრძანება და სტუდენტთა მხარდაჭერისა და კარიერული განვითარების სამსახურის შესაბამისი პასუხიმგებელი პირი უზრუნველყოფს აქტის გამოცემიდან ხუთი დღის ვადაში მართვის სისტემაში შესაბამისი მონაცემების ასახვას.

მუხლი 13. სტუდენტის სტატუსის შეწვეტა

1. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძვლებია:

ა)პირადი განცხადება (მიზეზის მითითების გარეშე);

ბ)უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში ჯამში 5 წელზე მეტი ვადით სტუდენტის სტატუსის შეჩერება, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევისა;

გ)უნივერსიტეტისათვის ყალბი დოკუმენტის ან არასწორი ინფორმაციის წარდგენა, რომელმაც გავლენა იქონია ჩარიცხვის შესახებ დადებითი გადაწყვეტილების მიღებაზე;

დ) სტუდენტის ეთიკის კოდექსით დადგენილი უხეში დარღვევა, რაც დასტურდება ამავე კოდექსით დადგენილი დისციპლინური კომისიის გადაწყვეტილებით;

ე)ერთი და იმავე სავალდებულო სასწავლო კურსში სამჯერ კრედიტის ვერმიღება;

ვ) მობილობის წესით სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლა;

ზ) საგანმანათლებლო პროგრამის დასრულება;

თ)გარდაცვალება ან კანონმდებლობით დადგენილი წესით გარდაცვლილად გამოცხადება.

2. სტუდენტის სტატუსშეწყვეტილ პირს არ უბრუნდება სწავლის გადახდილი საფასური.
3. ამ მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ”-,,დ” ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევაში სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ სამართლებრივი აქტით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგები დგება ბრძანების გამოცემიდან თორმეტი თვის შემდეგ. დროის ამ მონაკვეთში სტუდენტის სტატუსი ითვლება შეჩერებულად და სტუდენტი უფლებამოსილია ისარგებლოს მობილობის უფლებით.
4. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში, მისი ხელახლა მოპოვება დასაშვებია კანონმდებლობით დადგენილი წესით.
5. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის ბრძანების გამოცემისას, სტუდენტმა გონივრულ ვადაში უნდა მიიღოს უნივერსიტეტიდან თავის პირად საქმეში არსებული დოკუმენტაცია. ბრძანება სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ მართვის სისტემაში აისახება გამოცემიდან 5 დღის ვადაში.

მუხლი 14. დამატებითი სემესტრის გავლა

1. სტუდენტს, რომელიც საგანმანათლებლო პროგრამით დადგენილ ვადებში ვერ ასრულებს პროგრამას და ვერ მოიპოვებს შესაბამის ხარისხს, უფლება აქვს მომდევნო ოთხი სემესტრის მანძილზე თვითდაფინანსებით განაგრძოს სწავლა. ამასთან, ობიექტური გარემოების არსებობისას, რაც არ უკავშირდება სტუდენტის აკადემიურ მოუსწრებლობას სკოლის დეკანის დასაბუთებული შუამდგომლობის საფუძველზე შესაძლებელია აღნიშნული ვადა აღემატებოდეს ოთხ დამატებით სემესტრს, მაგრამ არ უნდა იყოს ექვს სემესტრზე მეტი.
2. დამატებით სემესტრში რეგისტრირებული სტუდენტის სწავლის საფასური განისაზღვრება მისი ინდივიდუალური საჭიროებიდან გამომდინარე, ასათვისებელი სასწავლო კურსების კრედიტების ღირებულების შესაბამისად.
3. დამატებით სემესტრში სტუდენტის დატვირთვა არ უნდა იყოს 15 კრედიტზე ნაკლები, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საგანმანათლებლო პროგრამის დასასრულებლად სტუდენტს ასათვისებელი აქვს მხოლოდ შესაბამისი რაოდენობის კრედიტები ან მიმდინარე სემესტრში შესაბამის ასათვისებელ კომპონენტზე დარეგისტრირება შეუძლებელია.
4. სტუდენტი, რომელიც ამოწურავს საგანმანათლებლო პროგრამის გეგმიურ ვადას და შესაბამისი კრედიტების მოსაგროვებლად საჭიროებს დამატებით სემესტრში დარეგისტრირებას, დამატებით სემესტრში არდარეგისტრირება სწავლის დაწყებიდან ერთი თვის ვადაში გამოიწვევს მისთვის სტუდენტის სტატუსის შეჩერებას.

მუხლი 15. შიდა კრედიტი

1. შიდა მობილობა გულისხმობს სტუდენტის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლას უნივერსიტეტის შიგნით აკადემიური განათლების ერთი საფეხურის ფარგლებში.
2. შიდა მობილობა ცხადდება წელიწადში ორჯერ, რომლის ვადები განისაზღვრება პრეზიდენტის ბრძანებით.
3. შიდა მობილობაში მონაწილეობის უფლება აქვს სტუდენტს იმ შემთხვევაშიც, თუ შიდა მობილობის გამოცხადების მომენტისათვის შეჩერებული აქვს სტუდენტის სტატუსი.
4. შიდა მობილობის უფლება სტუდენტს წარმოეშობა მხოლოდ იმ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელსაც შეესაბამება მის მიერ ჩაბარებული ერთიანი ეროვნული გამოცდების ფარგლებში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის №19/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულების“ (შემდგომში დებულება) მე-6 მუხლით დადგენილი შესაბამისი საგანი/საგნები იმ სტუდენტებისთვის, ვინც ერთიანი ეროვნული გამოცდები ჩააბარა 2020 წლის და შემდგომ.
5. ამ მუხლის მე-4 პუნქტის მიზნებისათვის, უნივერსიტეტი უფლებამოსილია მიმართოს სსიპ – შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრს და, მასთან შეთანხმებული ფორმით, გამოითხოვოს ინფორმაცია შიდა მობილობის უფლების მქონე პირთა მიერ ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მინიმალური კომპეტენციის ზღვარის გადალახვის თაობაზე დებულების მე-6 მუხლით დადგენილ შესაბამის საგანში/საგნებში, შესაბამისი ქულის მითითებით. სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი უზრუნველყოფს მოთხოვნილი ინფორმაციის დაწესებულებისათვის გონივრულ ვადაში წარდგენას. შიდა მობილობის მსურველი სტუდენტის განცხადების საფუძველზე განიხილება სტუდენტის მიერ ათვისებული კრედიტების თავსებადობის საკითხი და აღიარების კომისია ამავე წესით გათვალისწინებული განათლების აღიარების მიხედვით შეიმუშავებს შესაბამის დასკვნას.

6. უნივერსიტეტის შესაბამისი სკოლა, სტუდენტთან შეთანხმებით, ადგენს მოცემული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გონივრულ ვადაში მისაღწევად საჭირო ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას. იმ შემთხვევაში თუ სტუდენტი თანახმაა სწავლა განაგრძოს შეთავაზებული პირობებით, შიდა მობილობა ფორმდება პრეზიდენტის აქტით და მონაცემები 1 დღის ვადაში აისახება მართვის სისტემაში.
7. უნივერსიტეტი უფლებამოსილია გამოაცხადოს რიგგარეშე შიდა მობილობა, მის მიერ დადგენილი წესით, უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციაზე უარის თქმის ან აკრედიტაციის გაუქმების შემთხვევაში ან უნივერსიტეტის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების შემთხვევაში.

მუხლი 16. განათლების აღიარება

1. აღიარებას ექვემდებარება სტუდენტის მიერ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების იმ საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მოპოვებული კრედიტი/ები, რომელზე ჩარიცხვა და სწავლება განხორციელდა კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 17. კრედიტების აღიარების კომისია

1. სტუდენტის მიერ სწავლის პერიოდში მიღებული კრედიტის/ების აღიარების მიზნით, უნივერსიტეტის პრეზიდენტის ბრძანებით, უნივერსიტეტის შესაბამის ძირითად საგანმანათლებლო ერთეულში იქმნება აღიარების კომისია, რომელშიც უნდა შედიოდეს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი, შესაბამისი სკოლის დეკანი, შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელი და საჭიროების შემთხვევაში, მისი გადაწყვეტილებით, პროგრამის განხორციელებაში ჩართული შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირი. ამავე ბრძანებით განისაზღვრება კომისიის თავმჯდომარე, კომისიის მდივანი და კომისიის მუშაობის წესი.
2. უნივერსიტეტის აღიარების კომისია განიხილავს პირის მიერ დაგროვილი კრედიტების ფარგლებში გავლილი სასწავლო კურსების თავსებადობას მიმღები საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმით განსაზღვრულ სასწავლო კომპონენტებთან და გასცემს შესაბამის დასკვნას კრედიტების აღიარების ან აღიარებაზე უარის თქმის თაობაზე.

მუხლი 18. კრედიტების აღიარების წესი

1. უნივერსიტეტი ახორციელებს პირის მიერ სწავლის პერიოდში დაგროვილი კრედიტების აღიარებასა და მიმღებ საგანმანათლებლო პროგრამასთან თავსებადობის დადგენას.
2. ამ ქვეთავის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, მიმღები საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურიდან და შინაარსიდან გამომდინარე, აღიარებას აგრეთვე ექვემდებარება ისეთი სასწავლო კურსის დაძლევის შედეგად მოპოვებული კრედიტები, რომელიც გათვალისწინებული არ არის მიმღები საგანმანათლებლო პროგრამით. ასეთ შემთხვევაში, მისი აღიარება დასაშვებია ე.წ. თავისუფალი ან არჩევითი სასწავლო კომპონენტის სახით.
3. თავისუფალი ან არჩევითი სასწავლო კომპონენტის სტატუსით, შესაძლებელია, აღიარებული იქნეს ისეთი სასწავლო კურსი, რომელიც სტუდენტმა, იმ საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურიდან გამომდინარე, რომლის ფარგლებშიც დააგროვა კრედიტები, შეისწავლა როგორც სავალდებულო სასწავლო კურსი.
4. თუ სტუდენტის მიერ გავლილი სასწავლო კურსის დასახელება, მიზნები, შინაარსი და სწავლის შედეგები, ასევე კრედიტების რაოდენობა ემთხვევა მიმღები საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კურსის დასახელებას, მიზნებს, შინაარსსა და სწავლის შედეგებს, ასევე კრედიტების რაოდენობას, ხორციელდება ასეთი სასწავლო კურსის ავტომატური აღიარება.

5. თუ სტუდენტის მიერ შესწავლილი სასწავლო კურსის კრედიტის მოცულობა აღემატება საგანმანათლებლო პროგრამაში წარმოდგენილი ანალოგიური სასწავლო კურსის კრედიტის რაოდენობას, კრედიტის აღიარება ხორციელდება უნივერისტეტის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შესაბამისი სასწავლო კურსისათვის დადგენილი კრედიტის მოცულობის შესაბამისად, ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული კომპონენტების შედარების საფუძველზე.
6. თუ სტუდენტის მიერ შესწავლილი სასწავლო კურსის კრედიტის მოცულობა ნაკლებია მიმღებ საგანმანათლებლო პროგრამაში წარმოდგენილი შესაბამისი სასწავლო კურსის კრედიტზე, სასწავლო კურსის ამ ქვეთავის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული კომპონენტების შედარებისა და განხილვის საფუძველზე, კრედიტის აღიარება ხდება მიმღებ საგანმანათლებლო პროგრამაში გათვალისწინებული შესაბამისი სასწავლო კომპონენტის კრედიტის მოცულობით.
7. ამ ქვეთავის მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, აღიარების კომისია, თუკი მიიჩნევს, რომ აღიარებისათვის წარმოდგენილი სასწავლო კურსით დაფარული თემატიკა არასაკმარისია მიმღები საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგ(ებ)ის მისაღწევად, უფლებამოსილია უარი თქვას სასწავლო კურსის კრედიტების აღიარებაზე.
8. აღიარებისათვის წარმოდგენილი სასწავლო კურსის მიზნების, სწავლის შედეგებისა და შინაარსის გათვალისწინებით, შესაძლებელია, დადგინდეს ამ კურსის შესაბამისობა მიმღები საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსთან, მიუხედავად სახელწოდებებში განსხვავებისა.
9. თუ სტუდენტის მიერ წარმოდგენილი მიღებული შეფასება თავსებადია უნივერსიტეტში მოქმედ შეფასების სისტემასთან, კომისია განათლების აღიარებასთან ერთად ცნობად იღებს სტუდენტის შეფასებებს და დასკვნაში, გარდა აღიარებული კრედიტისა, აღნიშნავს სტუდენტის შეფასებას. მიმღები საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურიდან გამომდინარე, კომისია, უფლებამოსილია, მიზანშეწონილად ჩათვალოს სტუდენტის მიერ გავლილი რამდენიმე სასწავლო კურსის მიმღები საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული ერთი სასწავლო კურსის სახით აღიარება, ამ შემთხვევაში, აღიარებული სასწავლო კურსის შეფასება გამოითვლება არითმეტიკული საშუალოს სახით და საჭიროების შემთხვევაში, მრგვალდება მათემატიკური წესით.

მუხლი 19. ერთი კვალიფიკაციის ფარგლებში მიღებული სწავლის შედეგების სხვა კვალიფიკაციის მიზნებისთვის აღიარება

1. უნივერსიტეტი უფლებამოსილია აღიაროს აკადემიური უმაღლესი განათლების შესაბამისი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში პირის მიერ მიღწეული სწავლის შედეგები უნივერსიტეტის იმავე საფეხურის სხვა საგანმანათლებლო პროგრამის დაძლევით შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭების მიზნებისათვის, წინამდებარე წესით განსაზღვრული პირობების დაცვით.
2. ამ ქვეთავის მიზნებისათვის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ადგენს პირის მიერ უმაღლესი განათლების იმავე საფეხურის სხვა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების შესაბამის უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან თავსებადობას და იღებს გადაწყვეტილებას შესაბამისი კრედიტების აღიარების შესახებ.
3. ამ ქვეთავის მიზნებისათვის, უნივერსიტეტის ასევე უფლებამოსილია წინამდებარე წესის თანახმად, გაიანგარიშოს სტუდენტის დატვირთვა კრედიტებით იმ საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაშიც, რომელიც არ არის შესრულებული ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად.

მუხლი 20. პროგრამის მოდიფიცირებამდე მიღებული კრედიტების აღიარება

1. წინამდებარე წესით აღიარებას ექვემდებარება სტუდენტის მიერ უნივერსიტეტის იმ საგანმანათლებლო პროგრამის მოდიფიცირებამდე მიღებული კრედიტები, რომელზეც იგი ჩაირიცხა კანონმდებლობით დადგენილი წესით.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში, კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის სხვა რეგულაციებით დადგენილი წესითა და შემთხვევებში, პროგრამის მოდიფიცირების შემთხვევაში, სტუდენტის მიერ, კვალიფიკაციის მისაღებად გავლას ექვემდებარება ის განსხვავებული სავალდებულო კომპონენტები, რომელთა გარეშე შეუძლებელია პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევა.

მუხლი 21. კრედიტების აღიარების კომისიის დასკვნა

1. სტუდენტის მიერ სწავლის პერიოდში მიღებული განათლების ან/და დაგროვილი კრედიტების აღარების თაობაზე მზადდება დასკვნა, რომელსაც ხელს აწერს აღიარების კომისიის თავმჯდომარე და კომისიის ყველა წევრი.
2. დასკვნაში აღინიშნება სტუდენტის მიერ გავლილი სასწავლო კურსების და საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა მიმღებ საგანმანათლებლო პროგრამასთან, სასწავლო კურსების ჩამონათვალი, რომელთა აღიარება მოხდა მიმღები საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისთვის, შესაბამისი (აღიარებული) კრედიტების რაოდენობისა და მოპოვებული შეფასებების მითითებით. სასურველია, დასკვნა, საჭიროების შემთხვევაში, ასევე მოიცავდეს ინფორმაციას სტუდენტისათვის ინდივიდუალური გეგმის შეთავაზების აუცილებლობის შესახებ.

მუხლი 22. საგანმანათლებლო პროგრამის დასრულება და კურსდამთავრებულისათვის კვალიფიკაციის მინიჭება

1. სტუდენტის მიერ შესაბამისი საფეხურის კომპეტენციების გამომუშავებისა და საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კრედიტების რაოდენობის დაგროვების შემდეგ, სტუდენტს ენიჭება საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კვალიფიკაცია.
2. შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭებას ახორციელებს უნივერსიტეტის ძირითადი საგანმანათლებლო ერთეული -სკოლის საბჭო.
3. სტუდენტის კვალიფიკაციის მინიჭება დასტურდება შესაბამისი საფეხურის უმაღლესი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუენტით - დიპლომით (შემდგომში - დიპლომი), რომელიც დამტკიცებულია პრეზიდენტის მიერ და წარმოადგენს მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტს, რომლის ფორმა და შინაარსობრივი მხარე შეთანხმებულია შესაბამის უწყებებთან, კანონმდებლობით დადგენილი წესით.
4. დიპლომს დაერთვის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 5 აპრილის N149 ბრძანების შესაბამისად მომზადებული უმაღლესი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის – დიპლომის დანართის ფორმა.
5. დიპლომის მომზადებასთან, გაცემასთან და განადგურებასთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება უნივერსიტეტის „დიპლომის წარმოებისა და გაცემის წესი“ შესაბამისად.
6. სტუდენტთა მიღებს, მხარდაჭერისა და კარიერული განვითარებს სამსახური დიპლომის გაცემამდე გამოითხოვს ინფორმაციას შესაბამისი სამსახურებიდან და მხოლოდ უნივერსიტეტის წინაშე ვალდებულებების არარსებობის შემთხვევაში უზრუნველყოფს დიპლომის გაცემას შესაბამის კურსდამთავრებულზე ან მის კანონიერ წარმომადგენელზე.

მუხლი 23. კურსდამთავრებულთათვის წარჩინების დიპლომის გასაცემად საშუალო (შეწონილი) ნიშნის (GPA–ს) დაანგარიშების წესი

1. უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებზე გაიცემა ორი სახის დიპლომი - „წარჩინების“ და ე.წ. „ჩვეულებრივი“.
2. საშუალო (შეწონილი) ნიშნის (GPA) დაანგარიშება ხდება სტუდენტის მიერ მიღებული ყველა შეფასების გათვალისწინებით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სტუდენტის მიერ მიღებული უარყოფითი შეფასების ანულირება ხდება იმავე სასწავლო კურსის განმეორებით მოსმენის და დადებითი შეფასების მიღების საფუძველზე. საგანმანათლებლო პროგრამის შესწავლისას სტუდენტის მიერ მიღებული შეფასებების GPA–თან შესაბამისობა დგინდება შემდეგი პრინციპით:

ქულა	GPA
91 -100	4.0
81 – 90	3.5
71 – 80	3.0
61 -70	2.5

3. დაანგარიშება ხდება დიპლომის დანართში შეტანილი ინფორმაციის საფუძველზე შემდეგი წესით: სტუდენტის მიერ თითოეულ სასწავლო კურსში მიღებული საბოლოო შეფასება მრავლდება ამ კურსის კრედიტების რაოდენობაზე; დიპლომის დანართში შესული ყველა სასწავლო კომპონენტის ამ გზით მიღებული ნამრავლთა ჯამი იყოფა მოპოვებული კრედიტების საერთო რაოდენობაზე. მიღებული სიდიდე არის დიპლომის საშუალო (შეწონილი) ქულა (GPA).
4. კურსდამთავრებულზე წარჩინების დიპლომი გაიცემა იმ შემთხვევაში, თუ დიპლომის საშუალო (შეწონილი) ქულა (GPA) არანაკლებია 3.5-ზე, ამასთანავე დიპლომის დანართის შეფასებებში არ არის არცერთი „D“ და „E“ შეფასება; სხვა პირობებში კურსდამთავრებულზე გაიცემა ე.წ. „ჩვეულებრივი“ დიპლომი.
5. საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ დიპლომის სახის განსაზღვრის მიზნით GPA გამოანგარიშებისას მხედველობაში მიიღება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების დაძლევის შედეგად მიღებული დადებითი შეფასებები, ხოლო თუ სტუდენტმა სწავლის პერიოდში გააუმჯობესა სასწავლო კურსში მიღებული შეფასება - შესაბამისი საბოლოო შეფასება.
6. დადებითი შეფასების გაუმჯობესება დასაშვებია მხოლოდ სასწავლო კურსის თვითდაფინანსების პირობებში განმეორებით მოსმენის საფუძველზე.

მუხლი 24. წესის დამტკიცება, გაუქმება და მასში ცვლილებების განხორციელება

1. წინამდებარე წესი მტკიცდება უნივერსიტეტის პრეზიდენტის ბრძანებით;
2. წესი ძალში შედის შესაბამისი ბრძანების დამტკიცებისთანავე.
3. წინამდებარე წესის გაუქმება, მასში ცვლილებების შეტანა ხორციელდება უნივერსიტეტის პრეზიდენტის ბრძანებით;

"დამტკიცებულია"

აღმოსავლეთ-დასავლეთ უნივერსიტეტის პრეზიდენტი

გიორგი ხუროძე